

სსიპ ქალაქ თბილისის #172 საჯარო სკოლის
ინგლისური ენის მასწავლებელი
ნინო ჩადუნელი
2019 წელი

„ თუ ადამიანს ესაუბრები მისთვის გასაგებ ენაზე, ეს მისი ტვინისკენ მიმავალი გზაა. ხოლო თუ ადამიანს ესაუბრებით მის მშობლიურ ენაზე, მისი გული თქვენია”. - ნ.მანდელა.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა.

საკვლევი საკითხი:

Vდ კლასში (ინგლისური ენის გაკვეთილზე) მოსწავლეთა ზეპირი კომუნიკაციური უნარის ეფექტური განვითარების გზების კვლევა;
შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება.

სარჩევი

<i>აბსტრაქტი</i>	<i>გვ.4</i>
<i>შესავალი</i>	<i>გვ.5</i>
<i>თავი I</i>	<i>გვ.6</i>
1.1. მოკლე ინფორმაცია Vდ კლასის შესახებ	
1.2. საკვლევი საკითხის მიმოხილვა;	
1.3. პრობლემის შერჩევა;	
1.4. პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები;	
1.5. კვლევის მიზანი;	
1.6. კვლევის ამოცანები;	
<i>თავი II პრაქტიკული კვლევის არსი</i>	<i>გვ.14</i>
<i>თავი III ლიტერატურის მიმოხილვა</i>	<i>გვ.15</i>
<i>თავი IV კვლევის დიზაინი</i>	<i>გვ.19</i>
4.1. კვლევის გეგმა;	
4.2. კვლევის სამიზნე ჯგუფი;	
4.3. კვლევის მეთოდები;	
4.4. კვლევის ვადები;	
<i>თავი V ცხრილებითა და გრაფიკებით მიღებული შედეგების ანალიზი</i>	<i>გვ.21</i>
5.1. მონაცემთა ანალიზი;	
<i>თავი VI რეკომენდაციები და ინტერვენციების შეფასება კვლევის ნაკლოვანება</i>	<i>გვ.25</i>
6.1. ინტერვენციები;	
6.2. ინტერვენციების განხილვა;	
6.3. ინტერვენციების შეფასება;	
<i>თავი VII კვლევის მიგნებები, რეკომენდაციები, ნაკლოვანებები, დასკვნა</i>	<i>გვ. 31</i>
7.1. კვლევის მიგნებები;	

7.2. რეკომენდაციები;

7.3. კვლევის ნაკლოვანება/ები;

7.4. დასკვნა;

გამოყენებული ლიტერატურა/ბიბლიოგრაფია _____ *გვ.33*

დანართები _____ *გვ.35*

აბსტრაქტი

კვლევა ჩატარდა ქალაქ თბილისის #172 -საჯარო სკოლაში. მასში მონაწილეობა მიიღეს სკოლის პედაგოგებმა, მოსწავლეებმა, მშობლებმა. საკვლევი თემა იყო V კლასში ინგლისური ენის გაკვეთილზე მოსწავლეთა ზეპირი კომუნიკაციური უნარის ეფექტური განვითარების გზების კვლევა. ხოლო კვლევის მიზანი იყო, დამედგინა, თუ რა არის მოსწავლეებში ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის დაბალი უნარების გამომწვევი მიზეზი ან მიზეზები. კვლევის ფარგლებში შევეცადე, განმესაზღვრა ის ფაქტორები, რაც ხელს უშლის მოსწავლეებში ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის წარმართვის უნარების ჩამოყალიბებას, ან პირიქით, რა ფაქტორები ეხმარება მოსწავლეებს, ჩაერთონ და წარმართონ საუბარი მათთვის ნაცნობ თემაზე. ვცადე ინტერვენციების შერჩევა აღნიშნული პრობლემის დასაძლევად და დაგეგმილი ინტერვენციების ეფექტურობის შეფასება. გამოვიყენე როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდები. მოსწავლეებს, მშობლებს და ინგლისური ენის სხვა მასწავლებლებს დაურიგდათ შესაბამისი კითვარები, რის საფუძველზეც დავადგინე, რომ დაწყებით საფეხურზე, მოსწავლეები არ არიან შეჩვეულები ინგლისურ ენაზე კომუნიკაციას მაგ: ინსტრუქციების, უკუკავშირის, შეფასების მიცემისას. შესაბამისად, მათ აქვთ როგორც ფსიქოლოგიური ფაქტორი, ისე გრამატიკურ-ლექსიკური მასალის პასიური ცოდნა, რის გამოც ისინი არ არიან თავდაჯერებულები და ვერ ერთვებიან ზეპირი კომუნიკაციის პროცესში. ვფიქრობ, მოსწავლეებს ინგლისური ენის გაკვეთილზე მასწავლებლებმა უნდა შევუქმნათ ინგლისურენოვანი გარემო და რაც შეიძლება მეტი დრო დავუთმოთ თამაშს, მივცეთ ინსტრუქციები, უკუკავშირები, შეფასებები, მათთვის გასაგებ, მაგრამ ინგლისურ ენაზე. ვფიქრობ, თამაშია საუკეთესო გზა მოსწავლეების ინტერესების გასაცნობად და მათ ჩასართავად ინგლისურ ენაზე ზეპირი კომუნიკაციის პროცესში. თამაშში მოსწავლე ორიენტირდება ინგლისური ენის გამოყენებაზე, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ყურის შეჩვევას, სიტუაციებზე მორგებას, შესწავლილი გრამატიკული და

ლექსიკური მარაგების აქტიურ „თაროზე“ გადატანას, რაც მოსწავლეებს თავდაჯერებულობას შესძენს და თანდათანობით ჩამოუყალიბებს ზეპირი კომუნიკაციური სიტუაციის შესაბამის ელემენტარულ უნარებს, რაც ენის მრავალი ფუნქციიდან უმთავრესი ფუნქციის - საკუთრი თავის გამოხატვის და კომუნიკაციის საშუალებას მისცემს მათ.

შესავალი

ნაშრომში განხილულია ქ. თბილისის 172 -ე საჯარო სკოლის V კლასში ზეპირი კომუნიკაციისთვის აუცილებელი ელემენტარული უნარების გამომუშავების პროცესის სირთულე და მისგან გამოწვეული პრობლემები. პრობლემის კვლევისა და გადაჭრის გზების ძიებისას დავინტერესდი საკვლევ საკითხთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურით, სხვადასხვა მასწავლებლების გამოცდილებით და გამოვიყენე კლასში ზემოთაღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად.

ნაშრომი შედგება შვიდი თავისაგან. I თავში მოცემულია მოკლე ინფორმაცია სადამრიგებლო კლასის შესახებ; განხილულია სარკვევი საკითხი/კვლევის მიზნები და ამოცანები; პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები. II თავში კვლევის არსზე ვისაუბრე. III თავში მიმოვიხილავ შესაბამის ლიტერატურას; IV თავში წარმოდგენილია სამიზნე ჯგუფი, კვლევის მეთოდები და ვადები; V თავი ეხება კვლევის შედეგების ანალიზს, ინტერვენციების შედეგების შეფასებას; VI თავში იხილავთ რეკომენდაციებს, ნაკლოვანებებს და VII თავი არის დასკვნა.

საძიებო სიტყვებია: ზეპირი კომუნიკაციის უნარის განვითარება, თამაშით სწავლება, კვლევა

თავი I

1.1. მოკლე ინფორმაცია V კლასის შესახებ

2018 წლის სექტემბრის თვიდან V კლასის დამრიგებელი გავხდი. კლასში ინგლისურის მასწავლებლად 2017 წლის სექტემბრიდან შევედი. აღმოვაჩინე, რომ მოსწავლეთა უმეტესობას უჭირდა გაკვეთილზე ელემენტარული ინსტრუქციების ინგლისურ ენაზე გაგება. IV კლასის განმვლობაში მაქსიმალურად ვცდილობდი, კლასში მესაუბრა ინგლისურად, რაც საკმაოდ დიდ დროს მართმევდა, რადგან ხშირად მიწევდა გამეორება, ვიყენებდი სხეულის ენასაც. დავიწყე მოსწავლეების ჩართვა მარტივი პრეზენტაციების შექმნასა და წარდგენაში კითხვა - პასუხის მეთოდით. ერთი წლის განმავლობაში მოსწავლეები გარკვეულწილად შეეჩვივნენ ინგლისურად საუბარს, თუმცა მიმდინარე წლის დასაწყისში, ისევ შევნიშნე ძველი პრობლემა: მოსწავლეებს ხშირად სჭირდებოდათ მშობლიური ენის გამოყენებაც და მშობლიურ ენაზე ინსტრუქციების მიცემაც. აღარაფერს ვამბობ მოსწავლეთა ზეპირ კომუნიკაციაში ჩართულობის პრობლემაზე. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, რომ აუცილებელი იყო ზეპირი კომუნიკაციის უნარის განვითარებისთვის ეფექტური გზის ძიება, აღმოჩენა, კვლევა და ანალიზის გაკეთება.

1.2. საკვლევი საკითხის მიმოხილვა

პრაქტიკული კვლევის მიზანია მოსწავლეთა ზეპირი (ვერბალური) კომუნიკაციური უნარების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა სრულფასოვნად ჩართვას 21-ე საუკუნის გამოწვევების პროცესში.

2015 წლიდან ვასწავლი ინგლისურ ენას 172-ე საჯარო სკოლაში. ვცდილობ, სწავლების პროცესში ორიენტირებული ვიყო მოსწავლეზე, გამოვიყენო თანამედროვე მიდგომები, რათა მოსწავლეებში მეტი ინტერესი და მონდომება გავაღვივო ინგლისური ენის შესწავლის პროცესის უკეთესად წარსამართად. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეები საკმაოდ მაღალი ინტერესით არიან

ჩართულები სასწავლო პროცესში, თითქმის ყოველ წელს და ყოველ გაკვეთილზე ვხვდები საკვლევი საკითხის განვითარების პრობლემას. ეს გულისხმობს, რომ მათი დიდი მეცადინეობის მიუხედავად, მოსწავლეებს უჭირთ ინგლისურად დიალოგიური მეტყველების წარმართვა. არადა, ნებისმიერი ადამიანისთვის მნიშვნელოვანია სხვა ინდივიდებთან ურთიერთობა, რაც საჭიროებს, რომ ინდივიდებს ერთსა და იმავე ენაზე კომუნიკაცია შეეძლოს. 21-ე საუკუნეში, გლობალიზაციის პირობებში, ინგლისური ენის საერთაშორისო ენად ჩამოყალიბებამ მისი შესწავლის აუცილებლობა დაგვანახა. ამიტომ, ვთვლი, რომ ჩვენ უნდა შევძლოთ და დავეხმაროთ ახალ თაობებს ინგლისური ენის შესწავლასა და ზეპირი საკომუნიკაციო უნარების განვითარებით. ზეპირი კომუნიკაციის უნარი მათ საშუალებას მისცემს, აქტიურად იყვნენ ჩართულები სხვადასხვა მნიშვნელოვან და მათთვის საინტერესო პროცესებში და შეეძლოთ როგორც სხვისი აზრების გაგება-გაანალიზება, ისევე საკუთარის დაფიქსირება და დაცვა.

1.3. პრობლემის შერჩევა

ენის უმთავრესი ფუნქციაა ადამიანთა შორის კომუნიკაციის დამყარება. არსებობს კომუნიკაციის დამყარების სამი გზა - ვერბალური, არავერბალური და წერილობითი. პრობლემად ავირჩიე ვერბალური - ზეპირი კომუნიკაციის უნარების განმავითარებელი გზების კვლევა. ზეპირი მეტყველება თავის მხრივ მოიცავს რეცეფციულ მეტყველებას (რა მესმის), ექსპრესიულ მეტყველებას (რას ვამბობ) და პრაგმატულ განვითარებას (რა სიტუაციაში და როგორ იყენებ ენის ცოდნას) . ე.ი. წარმატებული ზეპირი კომუნიკაცია სამი უნარის ერთობას წარმოადგენს - მოსწავლეებს უნდა შეეძლოს, ერთის მხრივ, გამოთქვან თავიანთი შეხედულებები, ფიქრები, მეორეს მხრივ, მოისმინონ და აღიქვან გარშემომყოფთა ნათქვამი. ვერბალური კომუნიკაციის მაღალი უნარი ხელს უწყობს მომავალი თაობის დახელოვნებას ენის სისტემის ორგანიზებულად და სწორად გამოყენებაში, რაც მათი წარმატების საწინდარია. ეფექტური ზეპირი კომუნიკაციით ისინი

შეძლებენ, ჩამოაყალიბონ ჯანმრთელი ურთიერთობები, მშვიდობიანად გადაჭრან პრობლემები და იყონ წარმატებულები ცხოვრებისეულ ეტაპებზე - სკოლაში, უმაღლეს სასწავლებლებში, სამსახურებში და ა.შ.

„როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები” - გახლავთ სოფიო ლობჯანიძის სტატია, სადაც ვკითხულობთ, რომ კვლევის დაწყებამდე აუციებელია განვსაზღვროთ

- რამდენად საჭირო და ღირებულია საკვლევი საკითხი სკოლისთვის, მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის.
- რა იქნება ის დადებითი შედეგი, რომელსაც კვლევა მოგვცემს.


გადავწყვიტე კითხვებზე პასუხების ძიება და დაწყებითი საფეხურის II - V კლასის მოსწავლეებთან მათ სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით ჩავატარე დიალოგებით მეტყველების გაკვეთილები - გაცნობითი ხასიათის, სურათების აღწერის, გრძნობების, ოჯახის, მეგობრობის შესახებ. მოსწავლეებს გავაცანი შეფასების კრიტერიუმები. აგრეთვე შევადგინე თვითშეფასების კრიტერიუმები მათთვის და შედეგები ერთმანეთს შევადარე.

ამ ეტაპზე, სამიზნე ჯგუფებში აღნიშნული საფეხურის თითო კლასი ჩავრთე და საკმაოდ საინტერესო შედეგები მივიღე . აღმოჩნდა, რომ მეორე კლასელთა 87% თავისუფლად ახერხებს ზეპირ კომუნიკაციას შესწავლილი მასალის გამოყენებით. მაშინ, როცა III კლასში ეს რიცხვი შეადგენს 78 %, IV კლასში- 74%, ხოლო V კლასში 62%-ს.

საინტერესოა, რომ II კლასელთა მხოლოდ 1% არ ერთვება კომუნიკაციაში, მაშინ, როცა ეს რიცხვი საფეხურის მატებასთან ერთად იმატებს. ანუ III კლასში ეს რიცხვი შეადგენს 2 %, IV კლასში- 2%, ხოლო V კლასში 4%-ს.

II კლასი


ზეპირი კომუნიკაციისას



- მოსწავლეს შეუძლია მოსმენილის გაგება და თავისუფლად პასუხობს შეკითხვებზე.
- მოსწავლეს შეუძლია მოსმენილის გაგება, თუმცა ერიდება ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია.
- მოსწავლე ხშირად იყენებს მშობლიურ ენას ზეპირი მეტყველებისას.
- მოსწავლე ძირითადად „კი“ და „არა“ პასუხით შემოიფარგლება.
- მოსწავლე არ ერთვება კომუნიკაციაში.

III კლასი


ზეპირი კომუნიკაციისას



- მოსწავლეს შეუძლია მოსმენილის გაგება და თავისუფლად პასუხობს შეკითხვებზე.
- მოსწავლეს შეუძლია მოსმენილის გაგება, თუმცა ერიდება ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია.
- მოსწავლე ხშირად იყენებს მშობლიურ ენას ზეპირი მეტყველებისას.
- მოსწავლე ძირითადად „კი“ და „არა“ პასუხით შემოიფარგლება.
- მოსწავლე არ ერთვება კომუნიკაციაში.

IV კლასი


ზეპირი კომუნიკაციისას



- მოსმენილის გაგება და თავისუფლად პასუხობს შეკითხვებზე.
- მოსწავლეს შუძლია მოსმენილის გაგება, თუმცა ერიდება ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია.
- მოსწავლე ხშირად იყენებს მშობლიურ ენას ზეპირი მეტყველებისას.
- მოსწავლე ძირითადად „კი“ და „არა“ პასუხით შემოიფრგლება.
- მოსწავლე არ ერთვება კომუნიკაციაში.

V კლასი

ზეპირი კომუნიკაციისას




- მოსმენილის გაგება და თავისუფლად პასუხობს შეკითხვებზე.
- მოსწავლეს შუძლია მოსმენილის გაგება, თუმცა ერიდება ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია.
- მოსწავლე ხშირად იყენებს მშობლიურ ენას ზეპირი მეტყველებისას.
- მოსწავლე ძირითადად „კი“ და „არა“ პასუხით შემოიფრგლება.
- მოსწავლე არ ერთვება კომუნიკაციაში.

მოსწავლეების თვითშეფასების შედეგები კი ასეთია:

II კლასელთა 91% იგებს და თამამად ერთვება კომუნიკაციაში და მხოლოდ 1% უჭირს ჩართვა. III კლასელებში 79% და 3%, IV კლასელებში - 69% და 7%, ხოლო V კლასელებში ეს რიცხვებია 52% და 8%.

II კლასი


ზეპირი კომუნიკაციისას



- ვიგებ მასწავლებლის შეკითხვის შინაარსს.
- ვიგებ მასწავლებლის შეკითხვის შინაარსს, მაგრამ მხოლოდ მშობლიურ ენაზე ვპასუხობ.
- შეკითხვის შინაარსი გასაგებია, მაგრამ მხოლოდ „კი“ და „არა“ მახსენდება.
- შეკითხვის შინაარსი გასაგებია, ალბათ პასუხიც ვიცი, მაგრამ ინგლისურად საუბრის მრცხვენია
- მიჭირს, გავიგო მასწავლებლის შეკითხვის შინაარსი.

III კლასი

ზეპირი კომუნიკაციისას




- ვიგებ მასწავლებლის შეკითხვის შინაარსს.
- ვიგებ მასწავლებლის შეკითხვის შინაარსს, მაგრამ მხოლოდ მშობლიურ ენაზე ვპასუხობ.
- შეკითხვის შინაარსი გასაგებია, მაგრამ მხოლოდ „კი“ და „არა“ მახსენდება.
- შეკითხვის შინაარსი გასაგებია, ალბათ პასუხიც ვიცი, მაგრამ ინგლისურად საუბრის მრცხვენია
- მიჭირს, გავიგო მასწავლებლის შეკითხვის შინაარსი.

IV კლასი




V კლასი



II-V კლასებში კომუნიკაციის უნარის მაღლი ხარისხის და ფსიქოლოგიური გავლენის შეფასებისა და თვითშეფასების შედარებით გამოიკვეთა, რომ საფეხურის მატებასთან ერთად მოსწავლეებში იკლებს თვითგამოხატვის უნარი და იმატებს ფსიქოლოგიური ფაქტორი-სიმორცხვე. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მასწავლებლის

მიერ შეფასება და მოსწავლეთა თვითშეფასება ერთმანეთს ემთხვევა. რაც ნიშნავს იმას, რომ მოსწავლეები ადეკვატურად აღიქვამენ თავიანთ საჭიროებებს, რაც, ვფიქრობ, დადებით გავლენას იქონიებს კვლევაში მათ ჩართულობის მოტივაციის ამაღლებაზე..

შეფასებისა და თვითშეფასების დიაგრამები



1.4. პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები:

გამოცდილებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ პრობლემის გამომწვევ მიზეზად შეიძლება რამდენიმე გარემოება დასახელდეს. ესენია:

- არასაკმარისი ლექსიკური მარაგი.
- არასაკმარისი გრამატიკული ცოდნა.
- შესწავლილი გრამატიკული და ლექსიკური მასალის პრაქტიკაში გამოყენება.
- თამაშებით სწავლების მეთოდის ნაკლებად გამოყენება.
- არაინგლისურენოვანი გარემო, რაც განაპირობებს მოსწავლეთა ემოციურ ფაქტორებს მეტყველებისას- სიმორცხვე, შეცდომების დაშვების შიში და შესაბამისად,
- არამოტივირებულობა საუბარში ჩართვის ან წარმართვის მიზნით.

1.5. კვლევის მიზანი:

კვლევის მიზანია, დეტალურად შევისწავლო მოსწავლეებში ინგლისურ ენაზე ზეპირი კომუნიკაციის დაბალი უნარების გამომწვევი მიზეზები და ვიპოვო გზა მათ აღმოსაფხვრელად.

1.6. კვლევის ამოცანები:

სამიზნე კლასის მოსწავლეებზე დაკვირვება:

ფოკუსჯგუფების შექმნა, კითხვარების ფორმირება, ინტერვენციების ძიება პრობლემის გადასაჭრელად. მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების გამოკითხვა. მონაცემთა ანალიზი. შედეგებისა და დასკვნების წარდგენა.

თავი II

პრაქტიკული კვლევის არსი

ზოგადად, ნებისმიერი კვლევის მიზანი ერთია - გაეცნო და აიმაღლო მეცნიერული ცოდნა საკვლევ საკითხთან დაკავშირებით და გამოიყენო მიღებული ცოდნა პრობლემების დასადგენად, აღმოსაფხვრელად, ასევე სიახლეების დასანერგად და პროცესების საამართავად.

ჩემმა პრაქტიკამ ნათლად დამანახა, რომ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები საჭიროებენ ინგლისურ ენაზე ზეპირი კომუნიკაციის წარმოების უნარების განვითარებას და მათი ასაკის, ცოდნის დონის შესაბამისად შევეცადე, შემექმნა ისეთი ინგლისურენოვანი სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეები ხალისით და უმტკივნეულოდ ჩაერთვებოდნენ ვერბალურ კომუნიკაციაში. კვლევის განხორციელება და აღნიშნული პრობლემის გაუმჯობესების გზების კვლევა კოლეგებთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან თანამშრომლობით ვცადე. მიმდინარე კვლევა, საშუალებას მომცემს მე და სხვა მასწავლებლებს, მოსწავლეებისა და ჩვენი საკუთარი საჭიროებების აღმოჩენასა და აუცილებელი სიახლეების დანერგვაში.

თავი III

ლიტერატურის მიმოხილვა

პირველ რიგში, სწავლების პროცესში ყველაზე მთავარი მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფაა, რაც განაპირობებს მათ ქცევას გაკვეთილის მიმდინარეობისას. ზეპირი მეტყველების უნარის ჩამოყალიბებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართვას ზეპირ კომუნიკაციაში. ფსიქოლოგების აზრით, საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის ქცევა ისევე, როგორც ნებისმიერი ქცევა, გარკვეული ფაქტორებით არის მართული. მაგალითად, ზოგი მოსწავლე გაკვეთილზე მხოლოდ იმიტომ აქტიურობს, რომ მშობლის, მასწავლებლის ზეწოლის ემინია, ან მხოლოდ ჯილდოს სანაცვლოდ ერთვება მასში. თუმცა არსებობენ აგრეთვე მოსწავლეები, რომლებსაც მათი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე, მხოლოდ ინტერესი და ცნობისმოყვარეობა ამოძრავებთ. შინაგანად მოტივირებულ მოსწავლეს არ სჭირდება დასჯა, რომ უკეთსად შეასრულოს რაიმე დავალება. რა თქმა უნდა, მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის გაღვივება რთული პროცესია, მაგრამ არა შეუძლებელი. რადგან ერთხელ მიღწეული მცირედი წარმატებაც კი მოსწავლეზე დადებით გავლენას ახდენს სხვა გამოწვევებთან ბრძოლის გზაზე. ჩემს შემთხვევაში, თუ მოსწავლეებს გავუღვივებ ზეპირ კომუნიკაციაში ჩართვის ინტერესს, ისინი შეძლებენ ნასწავლი ლექსიკურ-გრამატიკული მარაგის პრაქტიკაში ხშირ გამოყენებას, რაც ინგლისური ენის ზეპირი კომუნიკაციისთვის სჭირო უნარს განუვითარებს მათ.

დიდი ქართველი ფსიქოლოგი, დიმიტრი უზნაძე ქცევის ორ კატეგორიას განასხვავებს: ექსტროგენურსა და ინტროგენურს. ინტროგენური - შინაგანი და ექსტროგენური - გარეგანი ფაქტორებით განპირობებული. ექსტროგენურ ქცევებს განეკუთვნება მოხმარება, შრომა, რაიმეს შექმნა. ხოლო ინტროგენურს მიეკუთვნება შემოქმედებითობა, სპორტი, თამაში. აქვე დიმიტრი უზნაძე ამბობს, რომ ინტროგენური და ექსტროგენური ქცევები ერთი-მეორედან გამომდინარე ქცევებია.

მაგ: თუ მოსწავლეს სურს რომ ისწავლოს, მისთვის აუცილებელია შესაბამისი გარემო, რომელიც დააკმაყოფილებს მის მოთხოვნილებას. ეს ნიშნავს, რომ სწავლას მოწყურებულ მოსწავლეს აუცილებელად უნდა შეუქმნა საჭირო სასწავლო გარემო, რათა მან სწავლის პროცესში ჩართვა შეძლოს. ანუ თუ მოსწავლეს საჭიროების დროს შეუქმნი შესაბამის სასწავლო გარემოს, მოსწავლე ჩაერთვება სწავლის პროცესში და მას დროთა განმავლობაში, სასწავლო გარემოში ხშირად მოხვედრისას შემეცნების შინაგანი ნდომა გაუჩნდება. შინაგანი და გარეგანი ქცევების გამომუშავება კი მოსწავლეს მუდმივი სწავლის პროცესში „ჩართვებს“. მაგრამ როგორ მოვიქცე, რომ მოსწავლეებისთვის შევქმნა ისეთი საგაკვეთლო-სასკოლო გარემო, რომელიც მათში ინგლისურად საუბრის მოთხოვნილებას აღძრავს? როგორ შევძლო ის, რომ მოსწავლეებს ინგლისურად საუბრის პირობებში შეექმნათ შესწავლილი მასალის წარმოჩენის, აზრის გამოთქმის შინაგანი განწყობა? როგორ გავარკვიო ის, თუ რომელი გამღიზიანებელი (შინაგანი/გარეგანი) მოქმედებს მათზე ინგლისურ ენაზე საუბრისას? და როგორ მოვახერხო ის, რომ მოსწავლეებს დავაძლევინო, შიში, სიმორცხვე მათი ინგლისურენოვან გარემოში ჩართვის უზრუნველსაყოფად? გამოსავალი ისევ დიმიტრი უზნაძის თეორიაში - თამაშის შესახებ, აღმოვაჩინე. იგი ამბობს: „ თამაშს, როგორც ქცევას, საფუძვლად უდევს ფუნქციის სიამოვნება, ანუ თამაშის ძირითადი მოტივი ბავშვისთვის თვით აქტივობისგან სიამოვნების მიღებაა. ” ანუ მისი აზრით, თამაში ინტროგენური ქცევების რიგში აღირიცხება. ამავე დროს, თამაშის არსი გახლავთ ბავშვის შესაძლებლობების აქტივაცია- წარმოჩენა, რომლის დროსაც ხდება ბავშვის სრული განვითარება არა მარტო გენებით მიღებული კოდების მიხედვით, არამედ იმ გამოცდილებით, რომელსაც იგი თამაშის დროს იღებს, შეიმეცნებს. შემეცნებითი პროცესი და გარემო, თავისთავად, გარედან ზემოქმედებს ბავშვზე და მას სხვადასხვაგვარი ქცევისკენ უბიძგებს.ე. ი. თამაში არის სწორედ იმ ორი ძალის ზემოქმედების მაგალითი , რომელსაც უზნაძე ინტრო და ექტროგენურს უწოდებს და რომლებიც განსაზღვრავენ ნებისმიერი ადამიანის ქცევას. იგივე აზრს ავითარებს ბევრი სხვა ფსიქოლოგიც. მაგ:

გრისი - „თამაში არის განვითარების ფუნდამენტი და ის დამახასიათებელია ნებისმიერი ძუძუმწოვარი არსებისთვის, რათა მოემზადოს ცხოვრებისთვის”.

პიაჟე - „თამაში არის ინტელექტის გავარჯიშების საშუალება და შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ფიზიკური ან გონებრივი ქმედება, რომლის მიზანიც სიამოვნების მიღებაა”.

კარგად ჩანს, თამაში სწავლის, შემეცნების საუკეთესო საშუალებაა. თამაშის საშუალებით, ადამიანები ბავშვობიდან სწავლობენ და ეჩვევიან სხვადასხვა გარემო პირობების გათვალისწინებითა და ზემოქმედებით შესაბამის ქცევებს. სკოლამდელი ასაკის ბავშვები თამაშისას ძირითადად საკუთარ ფიზიკურ და ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებს შეიმეცნებს, აკვირდება და გარკვეულ გამოცდილებას იძენს. აგრეთვე ეცნობა და ემორჩილება იმ ზოგად წესებს, რომლებიც საზოგადოებაში ქცევის რეგულირებისთვისაა საჭირო. მაგრამ სწავლის პროცესი, რომელიც, უდაოდ, ღრმა ბავშვობიდან იწყება, ძირითად და დასრულებულ სახეს სკოლაში იძენს, რადგან სწავლა არის, ასე ვთქვათ, ის ძირითადი აქტივობა, რომლითაც სკოლაში ბავშვი უნდა დაკავდეს. გამოდის, რომ „ფიზიკური თამაშიდან” მოსწავლე „გონებრივ თამაშზე” გადადის. თამაშის ამ ფორმიდან მოსწავლე არა მარტო რაიმე კონკრეტულს სწავლობს, არამედ ამ კონკრეტულის შესწავლისას გამოყენებულ უნარებსაც ივითარებს და კიდევ უკეთ ხვდება, დამატებით რა უნარები და ცოდნა დაეხმარებოდა მას სიახლის ძიებისას. სწორედ ისე, როგორც პატარა ბავშვი შინაგანი მოტივაციით, ინტროგენური ზემოქმედების შედეგად მეგობრების წრეში, თამაშში ერთვება და შემდეგ პირიქით მეგობრების, გარემო სიტუაციების (ექსტროგენური გამღიზიანებელი) მიხედვით მოქმედებს თამაშის დროს და ივითარებს თამაშებისთვის საჭირო დამატებით უნარებს, სკოლის ასაკის ბავშვიც საკუთარი მოტივაციით ინტერესით ერთვება სასწავლო პროცესში, ეცნობა სიახლეებს და ახალი ცოდნა მასზე ისევე ზემოქმედებს ინტროგენურად, ისევე აღუძრავს ახალი მასალის შესწავლისაკენ და ამ გზაზე უვითარებს მას ზოგ, უკვე შეძენილ და აგრეთვე ახალ უნარებს, რომლებიც შემეცნების პროცესს აუცილებლად თან სდევს. ამიტომ დ.

უზნაძე ამბობდა, რომ სწავლა გარდამავალი ქცევაა თამაშსა და შრომას შორის. თუმცაღა განსხვავება თამაშსა და სწავლას შორის ერთია და მეტად მნიშვნელოვანი. ეს გახლავთ - მასწავლებელი. სკოლამდელი ასაკის ბავშვები თამაშისას ძალების აქტივაციისათვის მითითებებს არ საჭიროებენ მაშინ, როცა სწავლის პროცესში მოსწავლეების ძალების აქტივაცია მასწავლებლის მიერ მიცემული დავალებების საფუძველზე ხორციელდება.

მასწავლებლების წინაშე დიდი არჩევანია. მრავალი გამოცდილი ფსიქოლოგის მიერ არის განხილული სწავლების პროცესი, სწავლების სტილი და მიდგომები.

მოგახსენებთ პროგრესულ განათლებაში პრაგმატიზმის ფუძემდებლის **ჯონ დიუს** აზრს სწავლებასთან დაკავშირებით: „ჩვენ რომ ისე ვასწავლოთ, როგორც გუშინ გვასწავლიდნენ/ვასწავლიდით, ჩვენს შვილებს წავართმევთ მომავალს.“

სრულიად ვეთანხმები დიუსის შეხედულებას და ვთვლი, რომ გლობალიზაციის პირობებში მრავალი ფაქტორის გათვალისწინებაა საჭირო, რაც აუცილებლად სიახლეების აღმოჩენას გულისხმობს. თუ უწინ, თეორიულ ცოდნას ენიჭებოდა უპირატესობა, თანამედროვეობაში სწავლა კეთებით და გამოცდილებით, უკეთეს მიდგომად მიმაჩნია. მრავალი მკვლევარი სწავლების ინტერაქტიული მეთოდისკენ იხრება რაც გულისხმობს მოსწავლეთა მასალისადმი შემოქმედებით მიდგომას, ურთიერთკავშირს მასწავლებელთან და ერთმანეთთან (inter-ორმხრივი და act-მოქმედება). დიალოგის და ვინმესთან საუბრის რეჟიმში ყოფნა მოსწავლეს აძლევს საშუალებას, იყოს დომინანტი საგაკვეთილო პროცესში, იკონტაქტონ საკლასო გარემოსთან, რესურსებთან, თანატოლებთან. მასწავლებელი კი უნდა იყოს მხოლოდ თანამონაწილე, ფასილიტატორი და არა მხოლოდ ინსტრუქციის გამცემი. **ჯონ დიუ** აღიარებდა დემოკრატიულ-ინტერაქტიულ სწავლის პროცესს, სადაც მოსწავლე ინტერესით არის ჩართული სწავლის პროცესში და რომლის დროსაც ვითარდება ინტერდისციპლინური უნარები.

სწორედ ამიტომ, სწავლების სხვადასხვა ხერხიდან მე ინტერაქტიული თამაშების გზას მივმართე. ვეთანხმები, რომ თამაში სახალისოა და ის, თითქოს, სულაც არ ჰგავს

სწავლას. მაგ. თამაშები, როგორცაა ბინგო, ტელეფონი, ნამიოკობანა, პაზლები და სხვა მოსწავლეებს კარგად ეხმარება არა მარტო ლექსიკის, გრამატიკის და საუბრის, არამედ წერის უნარების გაუმჯობესებაშიც. თამაშის პროცესი ხსნის სტრესსაც, რაც უცხო ენაზე საუბარს თან სდევს. მე შევეცადე სწავლის პროცესის მოსწავლეზე მორგებას მათ „ გონებრივ თამაშში” , ანუ სწავლაში ჩასართავად.

ვფიქრობდი, მოსწავლეები ხალისით ჩაერთვებოდნენ მასში და დროთა განმავლობაში კლასში შექმნილი გარემოდან რეალურ გარემოში ორიენტირება, ადაპტაცია და , რაც მთავარია, ტრანსფერი აღარ გაუჭირდებოდათ.

თავი IV კვლევის დიზაინი

4.1. კვლევის გეგმა

ფოკუსჯგუფი ჩატარდა სამიზნე ჯგუფის მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან იმის გასარკვევად, თუ რომელი მეთოდია მათთვის/მათი შვილებისთვის ლექსიკური მარაგის გამდიდრებისთვის უკეთესი. ფოკუს ჯგუფში ერთიანდებოდა 5-6 მოსწავლე/მშობელი. რომელია უფრო მარტივი, ეფექტური და ხალისიანი გზა ლექსიკის შესწავლისას?

კითხვარები შევადგინე აგრეთვე როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის. მოსწავლეთა კითხვარის მიზანი გახლდათ, დამედგინა, რა იყო მათთვის ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის ბარიერი. ხოლო მასწავლებლების გამოკითხვის მიზანი იყო, დამედგინა, რამდენად ხშირად იყენებდნენ ინგლისურ ენას გაკვეთილზე მოსწავლეებთან კომუნიკაციისას და რა გარემოებები უშლით ხელს, ერთის მხრივ მასწავლებლებს, და მეორეს მხრივ, მოსწავლეებს სწავლა-სწავლების პროცესში მხოლოდ ინგლისური ენის გამოყენებაში. გამოიკითხა V კლასებიდან 70 მოსწავლე და 3 მასწავლებელი.

ინტერვიუში მონაწილეობა მივალდებინე დაბალი საფეხურის მოსწავლეებისათვის ათამდე მშობელს და აგრეთვე ჩემი კლასის ყველა მშობელს. ვეცადე, გამერკვია, სად, რა დოზით და რა მიზეზით სჭირდებოდათ მოსწავლეებს ინგლისური ენის ვერბალური გამოყენება. ან, საერთოდ, სჭირდებოდათ თუ არა.

ფოკუსირებული დაკვირვება ვაწარმოე თამაშების გამოყენებისას, თუ რა უნარებს იძენდნენ მოსწავლეები, რომელი თამაშების მიმართ იჩენდნენ განსაკუთრებულ ინტერესს და რამდენად გრძელვადიანად და აქტიურად იყენებდნენ თამაშისას მიღებულ ცოდნასა და უნარებს.

4.2. სამიზნე ჯგუფი:

- დაწყებითი საფეხურის V დ კლასის მოსწავლეები
- სამიზნე ჯგუფის მოსწავლეთა მშობლები.
- ინგლისური ენის მასწავლებლები/კოლეგები
- დაწყებითი კლასის სხვადახსვა კლასის ფოკუს-ჯგუფები

4.3. კვლევის მეთოდები

- ფოკუსჯგუფი
- კითხვარები
- ინტერვიუ
- ფოკუსირებული დაკვირვება
- მონაცემთა ანალიზი

4.4. კვლევის ვადები:

აქტივობა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
----------	---------	-----------	-------	--------	-------

პრობლემის შერჩევა	▼				
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება	▼				
მონაცემების შეგროვება და ანალიზი		▼	▼		
კითხვარების შედგენა-დამუშავება	▼	▼			
მიღებული შედეგების ანალიზი			▼	▼	
ინტერვენციების განხორციელება		▼	▼	▼	
ინტერვენციების შედეგების ანალიზი				▼	▼
შედეგების პრეზენტაცია/გაცნობა					▼

თავი V : ცხრილებითა და გრაფიკებით მიღებული შედეგების ანალიზი


5.1. მონაცემთა ანალიზი

ფოკუსჯგუფის შედეგების გაანალიზების შედეგად გამოვლინდა, რომ მოსწავლეთა და მშობელთა აბსოლუტურ უმრავლესობას სწორად აქვთ გათვითცნობიერებული ინგლისური ენის აუცილებლობა თანამედროვეობაში. ხოლო იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გარემოში და რა მეთოდებით უნდა ხდებოდეს ენის შესწავლა, მონაცემები ასეთია :

ა) მოსწავლეთა აზრით, ლექსიკის შესწავლა მეტად ეფექტური და ხალისიანია ინტერნეტ თამაშების გამოყენებისას - 41 %, სიტყვების გამოყენება საკლასო თამაშებში


- 34 %, ახალი სიტყვების გამოყენებით წინადადებების შედგენა. - 13 %, ლექსიკონის გამოყენებით ახალი სიტყვების მცირე ლექსიკონის წარმოება - 5%, ახალი სიტყვების ხშირი გამოწერა - 5 %.

რომელი მეთოდია თქვენთვის ლექსიკური მარაგის გაუმჯობესებისთვის საუკეთესო გზა?



ბ) მშობლების აზრი პროცენტულად ასე გამოიყურება: ინტერნეტ თამაშების გამოყენებისას - 36%, სიტყვების გამოყენება საკლასო თამაშებში - 35 %, ახალი სიტყვების გამოყენებით წინადადებების შედგენა. - 15 %, ლექსიკონის გამოყენებით ახალი სიტყვების მცირე ლექსიკონის წარმოება - 8%, ახალი სიტყვების ხშირი გამოწერა - 7 %.

რომელი მეთოდია თქვენი შვილისთვის ლექსიკური მარაგის გაუმჯობესების საუკეთესო გზა?




კითხვარების გაანალიზებამ ნათლად მაჩვენა, რომ მოსწავლეებისათვის ინგლისურ ენაზე კომუნიკაციას ბარიერს წარმოადგენს საკუთარ თავში დაურწმუნებლობა, სიმორცხვე და ლექსიკის პასიური მახსოვრობა. როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებელთა აზრით, ფსიქოლოგიური ფაქტორი უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლეებში კომუნიკაციის პროცესში ჩართვის მოტივაციაზე. თუმცა ყოველივე ამის მიზეზი გრამატიკულ-ლექსიკური მარაგის სიმცირე და არაინგლისურენოვანი გარემოა.

მოსწავლეების კითხვარის შედეგები:

რა გიქმნით ბარიერს კომუნიკაციის ინგლისურ ენაზე წარმართვისას ?


- ფსიქოლოგიური ფაქტორი - სირცხვილი, საკუთარ თავში დაურწმუნებლობა
- გრამატიკული ცოდნის დაბალი დონე
- აქტიური ლექსიკური მარაგის სიმცირე.
- ინგლისურენოვანი გარემოს შეუჩვევლობა
- მოტივაციის არარსებობა



მოსწავლელების კითხვარის შედეგები:


რა არის მოსწავლეებში კომუნიკაციის ინგლისურ ენაზე წარმართვის ბარიერი?

- ფსიქოლოგიური ფაქტორი - სირცხვილი, საკუთარ თავში დაურწმუნებლობა
- გრამატიკული ცოდნის დაბალი დონე
- აქტიური ლექსიკური მარაგის სიმცირე.
- ინგლისურენოვანი გარემოს შეუჩვევლობა
- მოტივაციის არარსებობა



ინტერვიუს შედეგად დავადგინე, რომ მშობლების დაკვირვებიდან გამომდინარე, მოსწავლეთა 53 % -ს ინტერნეტ თამაშების შემთხვევაში სჭირდებათ ინგლისურ ენაზე რეცეპციული კომუნიკაცია. აგრეთვე აღმოჩნდა, რომ 23 % უყურებს ინგლისურ

მულტფილმებს, 13% უსმენს ინგლისურ სიმღერებს, ხოლო დანარჩენი 9 % საერთოდ არ ყოფილა სიტუაციაში, სადაც მხოლოდ ინგლისურის გამოყენება სჭირდებოდა.



ფოკუსირებული დაკვირვების შედეგად დავადგინე, რომ მოსწავლეთა 98% მაქსიმალურად იყო ჩართული თამაშებში. მათი თამაშებით დაინტერესება დასვენებებზეც იყო შესამჩნევი. მოსწავლეთა ნახევარზე მეტი სიამოვნებით აგრძელებდა თამაშს დასვენებებზეც კი.

თავი VI ინტერვენციები, ინტერვენციების განხილვა, შეფასება

6.1 ინტერვენციები


კვლევის პროცესში მიღებული მონაცემებისა და ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გავატარე შემდეგი ინტერვენციები:

1. დასაწყისისთვის ჩავატარე ე.წ. ზეპირი ტესტირება. მოსწავლეებს ვაყურებინე ფილმი, ვათამაშე ფილმის შემდგომი თამაშები და შევასრულებინე შესაფერისი დავალებები. შემდეგ კი დავყავი ჯგუფებად ფილმის

გახმოვანებაზე სასაუბროდ. მათ თავიდან ვაყურებიან ნანახ ვიდეოს, მაგრამ უხმოდ. კლასის 23 % კარგად გაართვა თავი, 55 % საშუალოდ, მასწავლებლის დახმარებას საშუალოდ 13 %, მასწავლებლის დახმარებითაც გაუჭირდათ დავალების შესრულება 9 %-ს.

<https://learnenglishkids.britishcouncil.org/short-stories/the-great-race>

<https://learnenglishkids.britishcouncil.org/sites/kids/files/attachment/short-stories-the-great-race-worksheet.pdf>




2. მოსწავლეებისთვის ინგლისურენოვანი გარემოს შექმნა სწავლებისას, რაც გულისხმობს „არც ერთი სიტყვა მშბლიურ ენაზე“. მათივე დახმარებით შექმენით საკლასო გარემოში საჭირო შეკითხვებისა და პასუხების კუთხე. ინსტრუქციის მიცემისას, გაკვეთილის ახსნისას, გამოკითხვისას, თამაშისას, მოსწავლეთა მხრიდან ნებისმიერი შეკითხვისას ვიყენებდით მხოლოდ ინგლისურ ენას. დამხმარე წინადადებები ყველასთვის თვალსაჩინოდ კედელზე იყო გამოკრული, შესაძლო პასუხებითურთ. ამ სტრატეგიის მთელი კვლევის განმავლობაში გამოყენებამ უზრუნველყო ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის დამყარება ჩემსა და მოსწავლეებს შორის. მათ მალევე

ისწავლეს ის ძირითადი მზა წინდადებები, რომლებიც გვჭირდებოდა გაკვეთილის პროცესში. და კიდევ, გვქონდა წამახალისებელი და სადამსჯელო წესები, რაც კარგად არეგულირებდა გაკვეთილზე ჩვენს ურთიერთობას. წამახალისებლად თამაშებისას ერთი ქულა ემატებოდა მოსწავლეს, ჯგუფს, წყვილს, რომლებიც მხოლოდ ინგლისურ ენაზე ცდილობდნენ კომუნიკაციას. ხოლო გაკვეთილის განმავლობაში მშობლიური ენის გამოყენებისთვის მათ აკლდებოდათ ერთი ქულა.

3. გაკვეთილების ინტერაქტიული წესით წარმართვის მიზნით, რაც გულისხმობს, არა მარტო მოსწავლესა და მასწავლებელს შორის, არამედ მასწავლებელი-მოსწავლე და მოსწავლე -მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესს, დავგეგმე თამაშების, შეჯიბრებების მოწყობა როგორც ტექნოლოგიების გამოყენებით, ისე მათ გარეშე.
4. პრეზენტაციების მოწყობა და კითხვა პასუხის რეჟიმში პრეზენტაციების განხილვა.
5. კვლევის ბოლო ინტერვენციად ავირჩიე პირველი ინტერვენციის მსგავსი, რათა ნათლად მენახა კვლევის შედეგი. ისევ ჩავატარე ე.წ. ზეპირი ტესტირება. მაგრამ ამჯერად მოსწავლეებს მოვასმენინე ლექსი, ვათამაშე მოსმენის შემდგომი თამაშები და შევასრულებინე შესაფერისი დავალებები. შემდეგ კი დავყავი ჯგუფებად მცირე დიალოგების შესაქმნელად და ინსცენირებისთვის. შედეგი გაცილებით უკეთესი იყო : კლასის 47 % -მა საუკეთესოდ გაართვა თავი, 38 %-მა საშუალოდ, მასწავლებლის დახმარებას საჭიროებდა 10 %-ი, მასწავლებლის დახმარებითაც გაუჭირდათ დავალების შესრულება 5 %-ს.

<https://learnenglishkids.britishcouncil.org/poems/picnic>

<https://learnenglishkids.britishcouncil.org/sites/kids/files/attachment/poems-picnic-worksheet-2019.pdf>



6.2. ინტერვენციების განხილვა

განსახორციელებელი ინტერვენციები გავაცანი კოლეგებს, რის შემდეგაც დავგეგმე შემდეგი აქტივობები :

1. 45 წუთი ინგლისში - მიზანი გახლდათ, საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეებს გამოეყენებინათ მხოლოდ ინგლისური ენა. იქნებოდა ეს მასწავლებელთან თუ თანაკლასელთან შეკითხვა, პასუხი, აზრის გამოთქმა. დამხმარე ლექსიკა, ფრაზები თვალსაჩნოდ იყო გამოკრული კედელზე და იცვლებოდა თემატიკის მიხედვით. მოსწავლეებს შეეძლოთ მხოლოდ სხეულის ენის გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ საერთოდ ვერ მოახერხებდნენ ინგლისური სიტყვების გახსენებას.

2. სიტყვების ჯაჭვი - თამაშის მიზანია, მოსწავლეებმა მოიფიქრონ, გაიმეორონ და დაიმახსოვრონ ლექსიკა. ერთი მოსწავლე იწყებს სიტყვების დასახელებას, მეორე ჯერ პირველის სიტყვას ამბობს და შემდეგ საკუთარს ამატებს. მესამე პირველ და მეორე სიტყვას ამატებს საკუთარს და ასე გრძელდება გამარჯვებულის გამოვლენამდე.
3. ტელეფონი - თამაშის მიზანია, მოსწავლეებმა განივითარონ როგორც რეცეფციული, ისე ექსპრესიული უნარები. ერთი მოსწავლე ჩასჩურჩლებს სიტყვას მის გვერდით მჯდომს. და ასე ბოლომდე. საბოლოოდ ვამოწმებთ პირველი მოსწავლის სიტყვა თუ ემთხვევა ყველა დანარჩენისას.
4. ვიმახსოვრებთ? ე.ი. ვიმარჯვებთ და ბინგო -თამაშის მიზანია, ახალი ლექსიკური მარაგის გამოყენება. იარჯვებს ის, ვინ მეტ სიტყვას გაიხსენებს ახალი გაკვეთილიდან.
5. დაახარისხე- დაეკონტაქტე-გაიმარჯვე - თამაშის წესი ასეთია: მოსწავლეების მიერ ამოწერილი სხვადასხვა მეტყველების ნაწილები არეულად არის დალაგებული ოთახის შუაში. ოთახის გარშემო კი დგანან არსებითების, ზმნების, ზედსართავების, ზმნისზედების, კავშირების და ა.შ. „მცველები.“ კლასი მეტყველების ნაწილების მიხედვით ჯგუფებადაა დაყოფილი. თითო მცველი მიეკუთვნება თითო ფჯუფს. დანარჩენებმა ცენტრიდან აღებული სიტყვები უნდა მიიტანონ საჭირო მცველთან. გადამოწმონ და დატოვონ. გაიმარჯვებს ის ჯგუფი, რომელიც დანიშნულ დროში ყველაზე მეტ სწორ სიტყვას შეაგროვებს.
6. წინადადებობანა - მოსწავლეები ტექსტიდან იწერენ და ახარისხებენ სიტყვებს შემასმენლებად, არსებითებად, გარემოებებად , ზედსართავებად. თამაშის მიზანია, ყველა მოსწავლე ჩაერთოს წინადადების აწყობაში. თითო მოსწავლე მხოლოდ თითო სიტყვას ამატებს და იქმნება ერთი წინადადება. თამაში მიმდინარეობდა წყვილებში, ჯგუფებში, ინდივიდუალურად.

7. დილაოგური პაზლები - თამაშის მიზანია მოსწავლეებში დილაოგური მეტყველების მაგალითების გაცნობა. ისინი ალაგებენ წინადადებებს ისე, რომ მიიღონ დილაოგი .
8. განვასახიეროთ დილაოგი - მიზანია მოსწავლეებმა გამოიყენონ შექმნილი დილაოგები როლური თამაშებისას. როლების გადანაწილება ხდება ჯგუფებში ან ჩხირების გამოყენებით.
9. ვისწავლოთ გამოთქმა - თამაშის მიზანია მოსწავლეებში ინგლისური სიტყვების სწორად წარმოთქმის სწავლა, აგრეთვე ლექსიკის გამეორება დამახსოვრება. მოსწავლეები იატაკზე დადებულ სიტყვებს სწორი გამოთქმით კითხულობენ და მხოლოდ შემდეგ უშუალოდ სიტყვაზე ფეხის დაბიჯება და შემდეგზე გადასვლა.
10. ნამოკობანა- სიტყვის სხვადასხვაგვარი დეფინიციით ახსნა, ანუ ინგლისური სიტყვის ინგლისურადვე ახსნა ლექსიკონების გამოყენებით. მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გაეცნონ და ისწავლონ სიტყვები კველვა-ძიების გზით. აგრეთვე ეხმარებიან ერთმანეთს ინგლისური ენის მაქსიმალურად გამოყენებაში.
11. წიგნების თაროს პრეზენტაცია - გულსხმობდა სწავლების საფეხურის გათვალისწინებით ადაპტირებული წიგნების კითხვას და წაკითხული მასალის გამოყენებით ვერბალური კომუნიკაციის წარმართვას - კითხვები და პასუხები.
12. გარკვეული მასალის გავლის შემდეგ საკლასო ოთახის კედლებიდან ვხსნიდით დამხმარე მასალებს და ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ვატარებდით ზეპირ გამოკითხვას თემაზე : „ აუცილებელი დილაოგები ინგლისურის გაკვეთილზე. ” შედეგებს ვაფასებდით მასწავლებელი და ორი შემთხვევითი მოსწავლე. ერთი კრიტერიუმის მიხედვით. საინტერესო იყო მოსწავლეთა განწყობა-დამოკიდებულება ერთმანეთისა და ჩემს მიმართ -

შემფასებლები და შემსრულებლები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ ჩემთვის, რომ თავი კარგად გაართვეს დაკისრებულ ამოცანას.

6.3. ინტერვენციების შეფასება

ინტერვენციების განხორციელებამ, ვფიქრობ, დადებითი გავლენა იქონია მოსწავლეთა ჩართულობაზე კომუნიკაციის ინგლისურ ენაზე წარმართვისას. დადებითად შეიცვალა კლასის ფსიქოლოგიური დამოკიდებულება ინგლისური ენის გაკვეთილზე ძირითად ენად გამოყენების მიმართ. მოსწავლეებს ეგონათ, რომ კედლები კარნახობდნენ ყოველივეს და არ ეჯერათ, რომ საგაკვეთილო პროცესის ლექსიკა დროის განმავლობაში აქტიური გამოყენებით გრძელვადიან მახსოვრობაში დარჩებოდათ. თუმცა საბოლოო შემაჯამებელმა ინტერვიუმ, რომელიც მათივე ჩართულობით შეფასდა, ნათლად დაანახა შედეგი. შესაბამისად, მოეხსნათ შიში და სიმორცხვე, რაც აგრეთვე ხელის შემშლელი პირობა იყო მათთვის.

თავი VII კვლევის მიგნებები, რეკომენდაციები, ნაკლოვანებები, დასკვნა

7.1. კვლევის მიგნებები

მონაცემთა ანალიზისას გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება:

1. მოსწავლეები ხალისით ერთვებიან ვერბალურ კომუნიკაციაში მხოლოდ მაშინ, როდესაც დარწმუნებულები არიან საკუთარ თავში.
2. კომუნიკაციაში ხალისით ერთვებიან მხოლოდ ის მოსწავლეები, რომლებსაც უკვე ჰქონიათ შეხება უცხოენოვან გარემოსთან. (კლასში, კომპიუტერით და ა.შ.)
3. მოსწავლეებს თამაშისას უკეთესად ამახსოვრდებათ ლექსიკა.
4. მოსწავლეები უკეთ ახერხებენ ინგლისური ენის ლექსიკური და გრამატიკული ცოდნის აქტიურ გამოყენებას და ცოდნის გაღრმავებას მშობლიური ენის საგაკვეთილო პროცესში ნაკლებად გამოყენებისას. ეს

კი ხელს უწყობს მოსწავლეებში სიმორცხვის დაძლევას, საკუთარ თავში რწმენის მომატებას და მოტივაციას, ჩაერთონ რეალურ ინგლისურენოვან კომუნიკაციაში.

7.2. რეკომენდაციები

მოსწავლეების ვერბალური კომუნიკაციის უნარების განვითარებისთვის შევიძლება შემდეგი რეკომენდაციები:

- საჭიროა, მასწავლებლებმა ინგლისური ენის გაკვეთილზე მაქსიმალურად ინგლისურენოვანი გარემო შექმნან, ანუ კომუნიკაციის ენად აირჩიონ მხოლოდ სწავლების საფეხურის შესაფერისი ინსტრუქციები, სამეტყველო ენა.
- სწავლებისთვის მაქსიმალურად იქნას გამოყენებული სამიზნე უნარის განმავითარებელი სხვადასხვა თამაშები.
- შეიქმნას მოსწავლეებზე მორგებული გარემო მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის გასაღვივებლად - გვექონდეს მეგობრული დამოკიდებულება, ვეთამაშოთ წრფელად და რეგულარულად.
- მასწავლებლებმა უზრუნველყონ იმ კონკრეტული უნარების გავითარება, რაც მოსწავლეებს რეალურ სიტუაციებში და კონკრეტული ამოცანების შესრულებაში გამოადგებათ - მაგ. მზა დიალოგები და მათი ინსცენირება.
- მოსწავლეებს შევუქმნათ ტექნოლოგიებითა და სხვადასხვა რესურსებით, კერძოდ, სხვადასხვა წიგნებით აღჭურვილი¹ სასწავლო გარემო, მაგ. დასვენების დროს წაიკითხავენ მათ.

7.3. კვლევის ნაკლოვანებები

კვლევას ჰქონდა თვისი ნაკლოვანება. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას სწავლის საუკეთესო გზად ტექნოლოგიურად დატვირთული გარემო, საგანმანათლებლო ვიდეო თამაშები მიაჩნიათ, ყველა ინტერვენცია მათთვის სასურველი მეთოდის გამოყენებით არ გავთვალე, რადგან საკმაოდ რთულია საკლასო გარემოში საჭიროებისამებრ გამოიყენო ტექნოლოგიებით აღჭურვილი

ოთახი. თუმცა ორიენტირება გავაკეთე საკლასო თამაშებზე და ვთვლი, რომ მათი მეშვეობითაც შევძელი მიზნის მიღწევა.

7.4. დასკვნა

მიმაჩნია, რომ გარკვეული ცვლილებების გატარება აუცილებელია მომავალ თაობაში 21-ე საუკუნის უნარების გასავითარებლად. ინტერაქტიული გაკვეთილების წარმართვა, თამაშების მეთოდით გაკვეთილების დაგეგმვა, ტექნოლოგიების მიზანმიმართულად გამოყენება დაეხმარება პედაგოგებს არა მარტო ზეპირი კომუნიკაციის უნარების განვითარებაში, არამედ სხვა ნებისმიერი და აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ფორმირებაში.

ბიბლიოგრაფია

ნელსონ მანდელა

<http://www.bbc.co.uk/worldservice/learningenglish/movingwords/shortlist/mandela.shtml>

პედაგოგიური გზამკვლევი პროფესიული განათლებისთვის- 2016წ. <http://vet.ge/wp-content/uploads/2016/03/%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%93%E1%83%90%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%96%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83>

[%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1.pdf](#)

დიმიტრი უზნაძე თამაშსა და სწავლაზე -თამარ კაციტაძე

<http://mastsavlebeli.ge/?p=2489>

ჯონ დიუ განათლებაზე

<https://study.com/academy/lesson/john-dewey-on-education-impact-theory.html>

უნივერსალური დიზაინი- 2019

WWW.TPDC.GE

რა არის თამაში

<http://www.indiana.edu/nca/leisureed/play.html>

ირინა აბულაძე, მოტივაცია თეორიასა და პრაქტიკაში, 2014წ

თ. ზურაბაშვილი „თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევებში“ სოციალურ მეცნიერებათ ცენტრი. 2006 წ.

http://old.ucss.ge/geo/publication/publications_detail.php?ID=173

ლობჯანიძის „ როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები“- ინტერნეტჟურნალი „მასწავლებელი“. 2012წლის 3 მაისი.

<http://mastsavlebeli.ge/?p=281>

მიხ. გიორგაძე - „როგორ ვიმუშაოთ პედაგოგიურ კვლევებზე“ - ციფრული რესურსი.

<http://www.slideshare.net/mylenss/ss-15892201>

რჩევები სიტყვათა სწორად გამოთქმის სწავლებაზე

<https://www.youtube.com/watch?v=ChZJ1Q3GSuI>

ბავშვები თვითონ სწავლობენ

https://www.ted.com/playlists/274/talks_on_how_games_can_improve

საუბრები თამაშების დადებით როლზე ადამიანის განვითარებასა და ცხოვრების გაუმჯობესებაში

https://www.ted.com/playlists/274/talks_on_how_games_can_improve

დანართი:

II-V კლასების ფოკუსჯგუფის კითხვარები

შეფასების კრიტერიუმები

- მოსმენილის გაგება და თავისუფლად პასუხობს შეკითხვებზე.-----კი/არა
- მოსწავლეს შუძლია მოსმენილის გაგება, თუმცა ერიდება ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია.-----კი/არა
- მოსწავლე ხშირად იყენებს მშობლიურ ენას ზეპირი მეტყველებისას.-----კი/არა
- მოსწავლე ძირითადად „კი“ და „არა“ პასუხით შემოიფრგლება.-----კი/არა
- მოსწავლე არ ერთვება კომუნიკაციაში.-----კი/არა

მოსწავლის თვითშეფასების კრიტერიუმი

- ვიგებ მასწავლებლის შეკითხვის შინაარსს.-----კი/არა
- ვიგებ მასწავლებლის შეკითხვის შინაარსს, მაგრამ მხოლოდ მშობლიურ ენაზე ვპასუხობ.-----კი/არა

- შეკითხვის შინაარსი გასაგებია, მაგრამ მოლოდ „კი” და „არა “ მახსენდება.-----
-კი/არა
- შეკითხვის შინაარსი გასაგებია, ალბათ პასუხიც ვიცი, მაგრამ ინგლისურად
საუბრის მრცხვენია-----კი/არა
- მიჭირს, გავიგო მასწავლებლის შეკითხვის შინაარსი.-----კი/არა

ფოკუსჯგუფი მოსწავლეებისთვის - რომელია მარტივი გზა ლექსიკის შესწავლისთვის?

- წიგნების წაკითხვა და წაკითხულის კითხვა-პასუხით განხილვა
- სიტყვების გამოყენება შემეცნებით ინტერნეტ თამაშებში
- სიტყვების გამოყენება საკლასო თამაშებში
- მცირე ლექსიკონის წარმოება
- ახალი სიტყვების გამოწერა
- ახალი სიტყვების გამოყენებით წინადადებების შედგენა
- ინგლისური გაკვეთილზე მშბლიური ენის ნაკლებად გამოყენება

**ფოკუსჯგუფი მოსწავლეებისთვის - რა გიქმნით ბარიერს ზეპირი კომუნიკაციის
ინგლისურ ენაზე წარმართვისას**

- ფსიქოლოგიური ფაქტორი - სირცხვილი, საკუთარ თავში დაურწმუნებლობა
- გრამატიკული ცოდნის სიმწირე
- აქტიური ლექსიკური მარაგის სიმცირე
- ინგლისურენოვანი გარემოს შეუჩვევლობა
- დაბალი მოტივაცია

**ინტერვიუ მშობლებთან - როდის იყენებს თქვენი შვილი ინგლისურ ენაზე
რეცეფციულ კომუნიკაციას?**

1. ინტერნეტ თამაშებისას

- და გამოთქვამს ფრაზებს, სიტყვებს.

- მაგრამ არ იმეორებს სიტყვებს, ფრაზებს.
- ინგლისური მულტფილმების ყურებისას
- და იმეორებს სიტყვებს, ფრაზებს.
- მაგრამ არ იმეორებს არც სიტყვებს და არც ფრაზებს

2. ინგლისურ ენაზე საყვარელი სიმღერების მოსმენისას

- და ცდილობს, მოიძიოს და გაიმეოროს სიმღერის სიტყვები, ფრაზები
- მაგრამ არ ცდილობს, მოიძიოს და გაიმეოროს სიმღერის სიტყვები, ფრაზები
- არასოდეს უსმენს /თამაშობს ინგლისურ სიმღერებს/თამაშებს.
- მაგრამ თუ მისთვის ნაცნობ სიტყვას მოჰკრავს ყურს, მაშინვე აღნიშნავს.
- და ცდილობს, მხოლოდ მშბლიური ენის გამოყენებით ჩაერთოს სიმღერებშიც და თამაშებშიც.

I ინტერვენციის შედეგების კრიტერიუმი

კრიტერიუმი	საუკეთესო	კარგი	საშუალო	რისკის ჯგუფი
მოსწავლე ასრულებს ვიდეოს ყურების შემდგომ დავალებებს	მოსწავლე თითქმის უშეცდომოდ ასრულებს დავალებას	მოსწავლეს მცირედი შეცდომები აქვს.	მოსწავლეს აქვს შეცდომები, მაგრამ მასწავლებლის დახმარებით სწრაფად ორიენტირდება და ასწორებს მათ.	მოსწავლე საჭიროებს მასწავლებლის მუდმივ დახმარებას. თუმცა მაინც უჭირს დავალების შესრულება.

მოსწავლე ვიდეოზე და მის შემდგომ დავალებათ ე დაყრდნობით საუბრობს მოთხრობის მცირე მონაკვეთების შესახებ.	მოსწავლე სწრაფად ამოიცნობს სიტუაციებს და თითქმის უშეცდომოდ საუბრობს მოთხრობისმცირე მონაკვეთებზე.	მოსწავლე ამოიცნობს სიტუაციებს და მცირედი შეცდომებით საუბრობს მოთხრობის მცირე მონაკვეთების შესახებ. მცირედ ამახინჯებს სიტყვებს.	მოსწავლე საჭიროებს მასწავლებლის დახმარებას სიტუაციის ამოსაცნობად. აგრეთვე უჭირს საუბარი მოთხრობის მცირე მონაკვეთების შესახებ.	მოსწავლე ვერ ახერხებს სიტუაციების ამოცნობას და კითხვებზე პასუხის გაცემასაც კი.
---	--	--	---	--

დასკვნითი ინტერვენციის შეფასების კრიტერიუმი

კრიტერიუმი	საუკეთესო	კარგი	საშუალო	რისკის ჯგუფი
მოსწავლე ასრულებს მოსმენის შემდგომ დავალებებს	მოსწავლე თითქმის უშეცდომოდ ასრულებს დავალებას	მოსწავლეს მცირედი შეცდომები აქვს.	მოსწავლეს აქვს შეცდომები, მაგრამ მასწავლებლის დახმარებით სწრაფად ორიენტირდება და ასწორებს მათ.	მოსწავლე საჭიროებს მასწავლებლის მუდმივ დახმარებას. თუმცა მაინც უჭირს დავალების შესრულება.

მოსწავლე მოსმენისა და მის შემდგომ დავალებაზე დაყრდნობით ქმნის დიალოგს და მონაწილეობს მის ინსცენირებაში ი	მოსწავლე სწრაფად ამოიცნობს სიტუაციებს და თითქმის უშეცდომოდ ადგენს ინსცენირება ს და მონაწილეობს ს მასში.	მოსწავლე ამოიცნობს სიტუაციებს და მცირედი შეცდომები თ ადგენს ინსცენირება ს და მონაწილეობს ს მასში. მცირედ ამახინჯებს სიტყვებს.	მოსწავლე საჭიროებს მასწავლებელი ს დახმარებას სიტუაციის ამოსაცნობად. აგრეთვე უჭირს დიალოგში მონაწილეობა.	მოსწავლე ვერ ახერხებს სიტუაციების ამოცნობას და კითხვებზე პასუხის გაცემას.
--	---	---	--	---

ფოკუსირებული დაკვირვება თამაშებით ინტერვენციაზე

მოსწავლეების თამაშებში ჩართულობის საზომი თვეებისა და აქტივობების მიხედვით:

აქტივობები	45 წუთი ინგლისში -	სიტყვების ჯაჭვი	ვიმახსოვრებთ? ე.ი. ვიმარჯვებთ	ტელეფონი	წინადად ებობანა	დიალოგური პაზლები	
იანვარი		∴	∴	∴			
თებერვალი		∴	∴	∴	∴		
მარტი	∴	∴	∴	∴	∴	∴	∴
აპრილი	∴	∴	∴	∴	∴	∴	∴
მაისი	∴	∴	∴	∴	∴	∴	∴

ინტერვიუ ინგლისურ ენაზე

თვითშეფასება

კრიტერიუმები	დიახ	არა	თითქმის
სიხარულით შევხვდი მასწავლებელთან ინტერვიუს			
ინტერვიუს დროს ვიყენებდი ნაწავლ ლექსიკას და გრამატიკას			
ვგრძნობდი, რომ ინტერვიუს პროცესში არ ვეძებდი სიტყვებს.			
კომუნიკაციისას დავაფიქსირე არა უმეტეს 5 შეცდომისა			

შეფასების კრიტერიუმი

კრიტერიუმები	დიახ	არა	თითქმის
მოსწავლე სიხარულით ხვდება ინტერვიუს ჩატარებას ინგლისურ ენაზე			
ინტერვიუს დროს მოსწავლე იყენებს შესწავლილ ლექსიკურ და გრამატიკულ მარაგს.			
მოსწავლე თავისუფლად საუბრობს და არ ეძებს სიტყვებს ინტერვიუს პროცესში.			
მოსწავლე უშვებს არაუმეტეს 5-6 შეცდომას			

<https://learnenglishkids.britishcouncil.org/short-stories/the-great-race>

<https://learnenglishkids.britishcouncil.org/sites/kids/files/attachment/short-stories-the-great-race-worksheet.pdf>

<https://learnenglishkids.britishcouncil.org/poems/picnic>

<https://learnenglishkids.britishcouncil.org/sites/kids/files/attachment/poems-picnic-worksheet-2019.pdf>

კვლევის შედეგების გაზიარების რეფლექსია

მიმდინარე წლის რამდენიმე თვე ვიკვლევდი საკითხს „ ზეპირი კომუნიკაციის ინგლისურ ენაზე წარმართვის უნარების განმავითარებელი გზები დაწყებით, კერძოდ, V კლასის მოსწავლეებში. კვლევის არსმა კოლეგების დიდი ინტერესი გამოიწვია, გამომდინარე იქიდან, რომ ყველა ერთხმად აღიარებს, ზეპირი კომუნიკაციური უნარების საჭიროებას ნებისმიერ სფეროში. მეკითხებოდნენ, ვეკითხებოდი, ვმსჯელობდით, ვინიშნავდი სხვადასხვა აზრს განსახორციელებელი ინტერვენციების შესახებ. ისინი არასოდეს იხევდნენ უკან ჩემთვის საინტერესო საკითხის ირგვლივ დისკუსიაში მონაწილეობისგან, რისთვისაც მადლობას ვუხდით მათ. მაგრამ ყველაზე საინტერესოა ის, რომ მოსწავლეებმაც ზუსტად გაიგეს და

გაითვალისწინეს ჩემი ინტერესი კვლევასთან დაკავშირებით და ხალისით იყვნენ ჩართულები მთელ ამ პროცესში. კვლევის შედეგები პრეზენტაციის სახით გავაცანი არა მარტო ინგლისური ენის მასწავლებლებს, არამედ ყველა სხვა დაინტერესებულ პედაგოგებსაც. ვიზუალიზაციისთვის გამოვიყენე დიაგრამები, რათა ინტერვენციების შედეგების სწორი აღქმა გამეადვილებინა მათთვის. ინტერესი კვლევის მიმართ ინგლისური ენის მასწავლებლებს კვლევის პერიოდშიც ჰქონდათ, მათი ჩართულობიდან გამომდინარე, თუმცა კვლევა დადებითად შემიფასეს სხვა დისციპლინის მასწავლებლებმაც და დაინტერესდნენ ჩემ მიერ გამოყენებული ინტერვენციების მათ საგნებთან მიმართებაში მოდიფიცირებისა და კვლევის საკუთარ გამოცდილებად ქცევისა.

კოლეგების მხრიდან შეფასებები, როგორც ვთქვი, იყო დადებითი, თუმცა ასევე უარყოფითიც. რამდენიმე კოლეგამ გამოთქვა აზრი, რომ მსგავსი აქტივობები საგაკვეთილო პროცესში ხმაურს გამოიწვევდა და მასწავლებელს მეტი ძლისხმევა დასჭირდებოდა კლასის სამართავად. გამოითქვა აზრი იმის შესახებაც, რომ ტექნოლოგიების ნაკლები გამოყენებით, მაშინ, როცა მოსწავლეების დიდი ინტერესი გამოიკვეთა ინტერნეტ თამაშების მიმართ, აუცილებლად მათ დემოტივირებას გამოიწვევდა. მაგრამ, კვლევიდან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ არ გამოუწვევია, რადგან გაკვეთილი მოიცავდა ფიზიკურ აქტივობებს, რაც ძალიან ახალისებდათ მათ. თუმცა საინტერესო იყო ამ საკითხებთან დაკავშირებით მათთან დისკუსიაში შესვლა, რადგან როგორც იტყვიან „კამათში იბადება ჭეშმარიტება“. საუბარმა და განხილვამ დამაფიქრა იმაზე, რომ მსგავსი კვლევების წარმოება ძალიან მნიშვნელოვანია როგორც განათლების სისტემის საუკეთესოდ ფორმირებისათვის, ისე პროფესიული ზრდისა და მოსწავლეებში ინტერესის გაღვივებისთვის. რადგან ჩვენ ვართ ისინი, ვინც ქმნიან „ამინდს“ მომავალი თაობისთვის, და ისინიც, ვინც მათ სხვადასხვა „ამინდის“ პირობებში ადაპტირებასა და მართვას ვასწავლით. ამიტომაც საჭირო დაუზოგავი შრომა და ძიება იმ

სიახლეებისა, რომელიც საშუალებას მოგვცემს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურად და მოსწავლეებზე მორგებულად უკეთ წარმართვაში.

მე მადლობას ვუხდის სკოლის ადმინისტრაციას, კოლეგებს აქტიური მხარში დგომისა და გაწეული დახმარებისათვის. ვიმედოვნებ, რომ კვლევების წარმოება უფრო აქტუალური გახდება და, ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასებების ფონზე, მეტი შესაძლებლობები მოგვეცემა მომავალი თაობების სრულფასოვან მსოფლიო მოქალაქეებად აღზრდის პროცესში.